

კაკალა ებრალიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

დოქტორანტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

ელ-ფოსტა: kakala.ebravidze@bsu.edu.ge

ORCID: <https://orcid.org/0009-0007-8424-7842>

აბსტრაქტი: დიალექტებში მოქმედ ენობრივ პროცესებზე დაკვირვება და მათი შესწავლა ენათმეცნიერებისათვის ყოველთვის საჭირო და სიახლისმომცემია. ხშირად დიალექტებში შემონახულია ის, რაც სალიტერატურო ქართულში დავიწყებული ჩანს. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიალექტის ლოკალურ კვლევას, რომელიც დიალექტის ენობრივ თავისებურებათა შედარებით სრულ სურათს წარმოაჩენს.

ნაშრომში განხილულია ზემოაქარული კილოკავის ერთ-ერთი საინტერესო და სახასიათო ხეობის - ღორჯომის მკვიდრთა მეტყველების ფონეტიკური თავისებურებები. კერძოდ, ბგერითი შედგენილობა და ზოგიერთი ბგერათცვლილება. კვლევის საგანს წარმოადგენს ღორჯომის ხეობაში სავლელ მუშაობისას ჩაწერილი ცოცხალი მეტყველების ნიმუშები. მათზე დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად გამოვლენილი თავისებურებები შედარებულია სამხრული კილოებისა და სხვა ქართული დიალექტების მონაცემებთან.

ნაშრომში შესწავლილია ისეთი ფონეტიკური ერთეულები, როგორებიცაა **ა**, **ჟ**, ნეიტრალური ბგერა ² და ფარინგალური **ყ**, როგორც აბრუპტივი **ყ**-ს ნაპრალოვანი ალომორფი. ყურადღება გამახვილებულია მათ პოზიციასა და გამოყენების თავისებურებებზე. კვლევამ აჩვენა, რომ ცოცხალ მეტყველებაში **ა** და **ჟ** ბგერებთან შედარებით, უფრო ხშირად სრულხმოვანი **ი** და **უ** ბგერები გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: ბგერითი შედგენილობა, ფონემა, ნახევარხმოვანი, სრულხმოვანი, ² (ნეიტრალური ბგერა), ფარინგალური ბგერა, ასიმილაცია.

მეთოდოლოგია: საკვლევი საკითხის თავისებურების გათვალისწინებით სამუშაო პროცესში გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდი. მათ შორის სავლელ მუშაობის მეთოდი, კვლევა ეყრდნობა ღორჯომის ხეობაში სავლელ ექსპედიციების დროს ჩვენ მიერ ჩაწერილ ცოცხალი მეტყველების ნიმუშებს. მასალა მოპოვებულია ინტერვიუებისა და მიზნობრივი დიალოგების გზით. ნაშრომში ასევე გამოყენებულია ემპირიული მასალის დამუშავების, ანალიზის, აღწერის, შეფასებისა და შეპირისპირების მეთოდი.

ქართული ენის სხვა დიალექტების მსგავსად, ზემოაქარული კილოკავის ღორჯომის ხეობის მეტყველებაში მოიპოვება **ა**, **ჟ**, ² (ნეიტრალური ბგერა) და ფარინგალური **ყ**.

როგორც ცნობილია, ისტორიულად ქართულის ბგერათსისტემაში **ა** ფონემას წარმოადგენდა. თანამედროვე ქართულ ენაში **ა** ფონემას აღარ წარმოადგენს. თუმცა იგი შემონახულია დიალექტებში და ძირითადად **ი** ბგერის რეფლექსია. **ა** გვხვდება აქარული დიალექტის ღორჯომულ მეტყველებაში შემდეგ პოზიციებში:

ა. სახელობით ბრუნვაში **ა**, **ე**, **ო** და იშვიათად **უ** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან:

მელაა მამეჩკია ჩვენს ყანებს; ძველად უფრო მეტს ვქსოვდით, **კვეთაა**, **ჭიბომინაა**, - ყველანაირი წინდა იყო მოქსოვნილი; **მარტუაა** ვიყავით და ვერ ვისწავლე; წყლის **ყუა** წყალი რომ ამოვლებდით მიწიდან იგია; თოხები იყო **ყაზმაა** და თოხი; **თვარიაა** **ლობიაა** ვიცით ჩვენა...

ჩვენი დაკვირვებით, **ა** ახლოს დგას სრულხმოვან **ი**-სთან, ძალიან ხშირად მათი გარჩევა ჭირს. ჩაწერილ მასალაზე დაკვირვებით შევნიშნავთ, რომ ღორჯომულში სახელობით ბრუნვაში ხმოვან-ფუძიან სახელებთან **ა**-სთან შედარებით უფრო ფართოდ სრული **ი** გამოიყენება.

თქვენ **თოფიაი** გინდა, იქით ფაფარაზე; რა **ტუჩაი** არი ხათუნა; **თალათინაი** მახასი გვაქ ბარში; **თამთაი** დედათ ქნა მანანამო; დედოფალთან მიდის **სიძეი**; **ფახრაჯაი** გვაქვს - ბუხარში წყალ ჩაას-ხემდი და მუდგემდი;

ი-სა და **ა**-ს გამოყენების თვალსაზრისით კანონზომიერების დადგენა ჭირს.

აჭარულ დიალექტში, კონკრეტულად კი ზემოაჭარულ კილოკავში, ხმოვანფუძიან სახელებთან ბრუნვის ნიშნად **ა**-ს პარალელურად **ი**-ს განიხილავენ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც. „ქართულ კილოებში შემონახული **ა**, არც ისე შორსაა სრულ ხმოვან **ი**-ზე, ჭანური **ა** მკვეთრად გამო-ხატული ნახევარხმოვანია (ნოღაიდელი ჯ. , 1960, გვ. 10). მ. ხუბუა ზემოაჭარულში სახელობითი ბრუნვის დაბოლოებად სრულხმოვან **ი**-ს ასახელებს: „წყობილ სიტყვაობაში ეს ხმოვანი ხან ქმნის მარცვალს („ოქრო კაი ბათუმისა, ზალუმების თავი-ბაში; ამ დესტნების გამომთქმელი ეუბაი (უ უმარცვლოა) ვარ პაქსაძელი, ხან კი არა („ესეკიაი რუმ მოვკალი, ნათლათ მე დადამაკრეს თავზე“) (ხუბუა, 1932, გვ. 7). აჭარული დიალექტში **ა**-სა და **ი**-ს პარალელურ გამოყენებაზე საუბარია ქართულ დიალექტოლოგიაში (ჯორბენაძე, 1989, გვ. 541).

არცთუ იშვიათად ხმოვნებზე ფუძედამთავრებული სახელები ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ბ. გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც **ი||ა** მიცემითი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად გამოიყენება:

ბოგაი||ბოგაი მაღლაზე დადგემდენ, რომ საქონელი ვერ მიწვდებოდა (მდრ. ბოგას); ერთ დღეს გათენდებოდა **კდარი** ილლა მიაბარებდენ (მდრ. კდარს);

ანალოგიური მოვლენა დამახასიათებელია სხვა ქართული დიალექტებისთვისაც. როგორც ცნობილია, მსგავს პოზიციაში **ა** გვხვდება **კლარჯულშიც** (ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ. , 2023, გვ. 9). **ა**-ს გამოყენება მიცემითი ბრუნვის ნიშნის ნაცვლად დამახასიათებელია **ქართლურისა** და კახური დიალექტის **ქიზიყურისთვის** (ჯორბენაძე, 1989, გვ. 292, 316).

გ. **ა** გვხვდება ხმოვანფუძიან უკვეცელ სახელებში ნათესაობითი და მოქმედებითის **-ის**, **-ით** ბრუნვის ნიშნების **ი** ხმოვნითი ნაწილის დასუსტების შედეგად:

ბაჰრამლულზე **ოქრომს** ჩუქებაც იყო; **ფატომს** ძროხამ ხბო ქნა; ნანა **რურუმთ** დავაძინებთ ბაღვებს...

სამხრული კილოებიდან ამავე პოზიციაში **ა** ბევრა გვხვდება **ტაოურსა** და **კლარჯულში**. ხმო-ვანფუძიან სახელებთან **ა** ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში **ი** ხმოვნის რეფლექსად გვხვდება გურულში, ლეჩხუმურსა და რაჭულში. ქართლურს კი ახასიათებს მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაში (ჯორბენაძე, 1989, გვ. 292).

დ. ღორჯომულ მეტყველებაში, ისევე, როგორც მთელს სამხრულ კილოებში, **ა** დაცულია უცხო ენებიდან შემოსულ ლექსიკაში და ქმნის **ადმავალ დიფთონგს**. წარმოვადგენთ მაგალითებს:

აასინიხან მოკდა ბაღვი; რამაზანში **აასლოღზე** შევსჭამთ საჭმელ; მივტანდით 1 მოსახლეს-თან, ის გამოაცხოდა **აადლიპურს**...

მსგავსი თავისებურება დამახასიათებელია სხვა სამხრული კილოებისთვისაც:

მდრ. **კლარჯული**: მაზმა, მასალი... (ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ. , 2023, გვ. 9) **შავშური**: მერლი, მანი, მაგანი, გავრი... (ფაღავა მამია, 2022, გვ. 8) **ტაოური**: მუზ, გოლი, მავ!... (ფაღავა, და სხვ., 2020, გვ. 683).

ე. ღორჯომული მეტყველება, ბუნებრივია, იმეორებს აჭარული დიალექტის ზოგად ფონეტიკურ მახასიათებლებს. ხშირად **ა** ზმნის ბოლოკიდური **ი** ხმოვნის ფონეტიკური ნაირსახეობაა:

მოდი, წადი ზმნების დიალექტურ ვარიანტებად წარმოდგენილია **მოი||მოი**, **წაი ||წაი**; **გადაი** - **გადმოი** ფორმები.

ბაღნებო, **გამოძო**, არ გადაჩეჩდეთ დეფანზე; **წაა** ახლა და ყაზმათ თოხნე ყანიები; ციცავ, **გადმოა**, დღეს ჩემთან ბევრი ქალები შეიყრებიან.

აღნიშნულ პოზიციაში **ა** ბგერას აჭარული დიალექტის მახასიათებლად მიიჩნევენ.

როგორც აღვნიშნეთ, ი და ა ბგერების გამოყენების თვალსაზრისით რაიმე კანონზომიერების დადგენა რთულია. თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ა-ს გამოყენება გაცილებით იშვიათია სრულხმოვან ი-სთან შედარებით.

უმარცვლო უ. სხვა სამხრული დიალექტების მსგავსად, აჭარული კილოს ღორჯომულ მეტყველებასაც დაუცავს **უ**, რომელიც იშვიათად გვხვდება და ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი ჩანს. **უ** ღორჯომულ მეტყველებაში დასტურდება იმ შემთხვევებში, როგორც იგი ძველი ქართულის მიხედვითაა მოსალოდნელი. კერძოდ, **უ** არ გვხვდება სიტყვის თავში, იგი მოსდევს რომელიმე თანხმოვანს და შეიძლება შეგვხვდეს სიტყვის შუაში და ბოლოში (შანიძე, 1976, გვ. 20).

წარმოვადგენთ შესაბამის მაგალითებს:

თუალი (მდრ. თვალი) გამძღარი და გქონდეს, ცოდვია ინსანი; ჩვენებური ქორწილი **სხუა** (მდრ. სხვა) იყო, ფატიტ რომ ახლა დგებიან იმფერი ჰა იყო; ნუხი ხალხ ებნეოდა, **ქუეყანაზე** (მდრ. ქვეყანაზე) დიდი ყიამეთი მოვაო...

უ ვ ბგერის რეფლექსი ჩანს, მაშინ, როდესაც ვ მოქცეულია ხმოვანსა და თანხმოვანს შორის:

ბაუშვობა (მდრ. ბავშვობა)... მე ყველაზე პატარა ვიყავ; ჩახვში ჩავწურავთ შრატს და ნადუდი გამუა, **წუენი** (მდრ. წვენი) გადინდება; მოვდოდენ იმფო **ზოუთი** (მდრ. ზოვლი) მათიანები.

ღორჯომულ მეტყველებაში დადასტურებულ ფორმებს პარალელური ეძებნება სხვა სამხრულ კილოებში.

ტაოური: ერმანებს მაშინ **ბეური** ფულები ქონებიან; აქ **ბეური** მოვლნეს თურისტები... მავშური: ხარჩლუხი **ჩამოუდა** თავით; ახლა **მიუხტი** განა... კლარჯული: მაგას **წეყუან** მე და **სხუა** არ მოვალ... (ფაღავა, და სხვ., 2020, გვ. 685).

უ ცალკეულ შემთხვევაში **ო** ბგერის დავიწროებით ჩანს მიღებული:

მარტუაი (მდრ. მარტო) ვიყავით და ვერ ვისწავლე.

უ||უ ღორჯომულ მეტყველებაში ხშირად „ოა“ „ოვ“, „ოვა“, კომპლექსთა ცვლილების შედეგია:

თიდან **წამუელით** (მდრ. წამოვედით) დილაზე. ახლა ტელეფონზე დოურეკავთ და **მუა** (მდრ. მოვა). შვალამიხან **მუაწია** (მდრ. მოაწია) ამბავმა ისმაილაი მოკდაო; ჩახვში ჩავწურავთ შრატს და ნადუდი **გამუა** (მდრ. გამოვა), წვენი გადინდება; ღმერთმა შენი თავი **გამუანცხადებია** (მდრ. გამოაცხადებია); ქაშატობიხან წყალი **წამუა** (მდრ. წამოვა)...

მაგალითებზე დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ **ოა**, **ოვ** და **ოვა** კომპლექსებში შემავალი ვიწრო ხმოვანი **ო** კიდევ მეტად ვიწროვდება და იქცევა **უ**-დ. ჩვენ მიერ ჩაწერილი დიალექტური მასალა და მისი ანალიზი გვაძლევს საშუალებას აღნიშნული მოვლენა გამოვავლინოთ და შევადაროთ როგორც აჭარულ, ისე ქართული ენის სხვა დიალექტებს. მ. ხუბუა ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვისას თვლის, რომ **ვა** კომპლექსი გვაძლევს **უ**-ს. ანალოგიურ მოვლენას ადასტურებს აჭარულ მუჰაჯირთა მეტყველებაში შ. ფუტყარაძე. აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტებში **ოა ||ოვა** კომპლექსის უა-დ ქცევის ტენდენციაზე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული.

ჩვენი დაკვირვებით, ღორჯომულთა მეტყველებაში **უ** იშვიათად ისმის, ხოლო მარცვლიანი **უ-ს** გამოყენება სისტემურია. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ღორჯომულში **უ** გაქრობის გზაზე დგას.

² **(ნეიტრალური ბგერა).** როგორც ცნობილია, ² ნეიტრალური ბგერა ფიქსირებულია ზემოაჭარის რამდენიმე სოფელში და მათ შორის, ორიოდ შემთხვევაში გამოვლინდა ღორჯომის ხეობის მოხუცთა მეტყველებაშიც.

ზორტიყელი იყიდეს ჩვენებმა, **ღორჯუმის** (მდრ. ღორჯომის) ხალხმა გურულებისგან; მოგი-
ტანდენ საჩუქვარს, მშობლები, **დაპაიჯნილი** (მდრ. დაპაიჯნილი) და სახლისაც.

ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში გ. ახვლედიანი ²-ს ნეიტრალურ, ირაციონალურ ბგერას უწო-
დებს და მას შუა რიგის ხმოვნად მიიჩნევს. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ² ჩნდება
მაშინ, როცა სიტყვაში არ იქმნება ქართულისთვის დამახასიათებელი ჰარმონიული კომპლექსები,
წარმოთქმის გასამარტივებლად კი გამოდის ² (ღორჯ²მული, ცხ²რა...). აჭარულში ²-ს გამოყოფს მ.
ხუბუა ისეთ სიტყვებში, სადაც თანხმოვანთა კომპლექსი მიჯრითაა წარმოდგენილი. ასეთ დროს
თანხმოვნებს შორის ჩნდება ² ბგერა (ხუბუა, 1932, გვ. 7).

სამხრული კილოების ბგერითი შედგენილობიდან ² ბგერა გამოყოფა შავშურსა და აჭარულში.
„იგი ან ანაპტიქსური ხმოვანია, ან რომელიმე ბგერის ალომორფი“ (ფაღავა მ., 2017, გვ. 14).

მიჩნეულია, რომ ² ბგერის პოვნირება არის ერთ-ერთი თავისებურება, რაც უწყობს ხელს გას-
რულხმოვნებისკენ მიმართულ ტენდენციას, რაც აშკარად შესამჩნევია ღორჯომულში.

ყ ფარინგალური ბგერა. ღორჯომელ მოხუცთა მეტყველებაში აკუსტიკურ-არტიკულაციური
თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ყ ბგერა. ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ
ყ ბგერა წარმოითქმება ხორხში არა მეყსეულად, როგორც ეს აბრუპტივების შემთხვევაშია მოსა-
ლოდნელი, არამედ მისი წარმოთქმისას წარმოიქმნება სპირანტივური ჩქამი. ეს მოვლენა განსა-
კუთრებით შესამჩნევია მაშინ, როცა ყ ბგერა სიტყვის თავშია მოქცეული:

ხულოს რაიონში ყუალას ვიცნობ; ყუელგან მიმესლება, გამგებელი ჩემი ძმაკაცია; სუყველამ
გაუკეთა სეჯდე და რომელიც იყო შეითანი - არა...

სამეცნიერო ლიტერატურაში ყ ბგერის ყელხშულობის შესახებ არ არის ერთიანი შეხედულება.
ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებში ნათქვამია, რომ ყ-ს შემართვისას წარმოიქმნება სპირანტი-
ვური ჩქამი და ჩანს, რომ ყ სპირანტოიდულია (ახვლედიანი, 1999, გვ. 90). თუმცა საბოლოოდ
თანხმოვანთა ცხრილში ყ-ს ხშულთა გრაფამია განთავსებული. ყ ბგერას სპირანტოიდად მიჩნევენ
ს. ჟღენტი, თ. გამყრელიძე, თ. უთურგაიძე. ენათმეცნიერთა ნაწილს კი აღნიშნული ბგერა ხშულ
თანხმოვნად მიაჩნია (ა. შანიძე, გ. დოლიძე, ჰ. ფოგტი და სხვ.). თუმცა ზოგიერთი მათგანი თვლის,
რომ ხმოვანთშუა პოზიციაში დადასტურებული ყ ხშულის ნაპრალოვანი ალომორფია. ყ გლოტა-
ლიზებულ და ამავდროულად ხშულ ბგერად მიაჩნია ტ. ფუტყარაძეს. მისი შეხედულებით ყ ႁ
ფშვინვიერი თანხმოვნის მსგავსად, წარმოითქმის ხახის უკანა კედელზე ენის ძირის მიბჯენისას
ხშულობის განხშვით (ფუტყარაძე, 2014: 77).

ღორჯომელთა ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებისას აშკარად გამოიკვეთა შემთხვევები,
როდესაც ყ ბგერა ფარინგალურია და აბრუპტივი ყ-ს ნაპრალოვან ალომორფს წარმოადგენს.

ღორჯომული მეტყველება სამხრული დიალექტებისგან განსხვავებულ რაიმე სპეციფიკურ
ფონეტიკურ გარდაქმნას არ ავლენს, რის გამოც ამჯერად მასზე არ შევიჩერდებით. ყურადღებას
გავამახვილებთ თანამედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ კონკრეტულ შეხედუ-
ლებასთან დაკავშირებით, რაც სამხრულ დიალექტებში ასიმილაციის პროცესს უკავშირდება.

ცნობილია, რომ სამხრულ კილოებში ხმოვანკომპლექსთა გარდაქმნის პროცესი ასე წარიმარ-
თა: აუ>უუ; დაუ>დუუ, გაუ>გუუ, ჩაუ>ჩუუ, წაუ>წუუ, შეუ>შუუ, მოუ>მუუ - აღნიშნული გარდაქმნის
საფუძველია სრული რეგრესული ასიმილაცია (ფაღავა, და სხვ., 2020, გვ. 710). შენიშნულია რომ
ტაოურში, გარდაქმნა უფრო შორს მიდის, კომპლექსი მარტივდება და გვაქვს უუუ (დუუწერა'
დუწერა). ამ კომპლექსის გამარტივების მიზეზად ხმოვნის დისიმილაციურ დაკარგვას ასახელებენ.
ჩვენი დაკვირვებით, ღორჯომულ მეტყველებაში პროცესი აუ>ოუ>უუ (გაუჩინა>გოუჩინა>გუუჩინა);
უუ>ოუ>უუ (შეურჩედი>შოურჩედი>შუურჩედი); იუ>უუ (მიუტანდი>მუუტანდი); ოუ>უუ
(მოუგებ>მუუგებ) აქ ჩერდება.

დასკვნა: ღორჯომის ხეობის მეტყველების ფონეტიკურ თავისებურებებზე დაკვირვებამ და ანალიზმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია ნახევარხმოვანი *ღ* და *ჟ*, თუმცა ისინი სრულხმოვან *ი* და *უ* ბგერებთან შედარებით ნაკლებად გამოიყენება. მოხუცთა მეტყველებაში ორიოდ შემთხვევაში გამოვლინდა ² (ნეიტრალური ბგერა) როგორც ანაპტიქსური ბგერა. დადასტურდა ფარინგალური *ყ*, რომელიც წარმოადგენს აბრუპტივი *ყ*-ს ნაპრალოვან ალომორფს. ხმოვანკომპლექსთა ასიმილაციის პროცესი აუ>უუ, დაუ>დუუ ღორჯომულ მეტყველებაში აქ სრულდება, შემდგომი გარდაქმნა არ ფიქსირდება.

ფონეტიკური თავისებურებების ანალიზი და სხვა დიალექტებთან შედარება ცხადყოფს, რომ ღორჯომული მეტყველება ზემოაჭარულთან ერთად მჭიდროდ უკავშირდება სამხრულ დიალექტებს. ამასთანავე მსგავს ფონეტიკურ გარდაქმნათა პოვნირებით უახლოვდება როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ დიალექტებს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ახვლედიანი, გ. (1999). *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები*. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ნოღაიდელი, ნ. (2004). აჭარული დიალექტის საერთო ქართველურ ლექსიკასთან მიმართების საკითხებისათვის. ბ. შ. უნივერსიტეტი-ში, *შრომები*. ტ. VI. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ნოღაიდელი, ჯ. (1960). *აჭარული კილოს თავისებურებანი*. ბათუმი: აჭარის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
- ფაღავა მ., ც. ნ. (2017). *სამხრული კილოები - ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები*. თბილისი: "ივერიონი".
- ფაღავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ. . (2023). *ქართული ენის კლარჯული დიალექტი*. თბილისი: "მერიდიანი".
- ფაღავა მამია, ც. მ. (2022). *ქართული ენის შავშური დიალექტი*. ბათუმი.
- ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ., ჩოხარაძე, მ., შიოშვილი, თ., ხალვაში, რ., . . . კარალიძე, ჯ. (2020). ტაო. ბათუმი: მერიდიანი.
- ფუტყარაძე ტ., მ. მ. (2014). *ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკა*. თბილისი: უნივერსალი.
- შანიძე, ა. (1976). *ძველი ქართული ენის გრამატიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ხუბუა, მ. (1932). *ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა*. ბათუმი: აჭარისტანის სახელმწიფო გამომცემლობა.
- ჯორბენაძე, ბ. (1989). *ქართული დიალექტოლოგია*. თბილისი: "მეცნიერება".